



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N18

ქ. მარნეული

20.11.2015 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, კოტე ბოჭორძე, ვანო ბურნაძე, ირაკლი ბურნაძე, რამიზ გულმამედოვი, ჯომბუკ ზეინალოვი, არსენ ახვერდიანი, მაილ მიქიევი, მამედ მამედოვი, ისმაილ ბაირამოვი, რაფიკ ჯაფაროვი, ლევონ აკოპიანი, ნიზამი ვალიევი, მახირ იუსუბოვი, ელხან მუფტიევი, რაფიკ მუსაევი, რუსტამ ფაშაევი, აიდა ხაჩიკიანი, ბესიკ გუჯეჯიანი, გივი ქველაძე, აბიდ ოსმანოვი, ვალი ისმაილოვი, რიჩარდ გიგანი, სულეიმან ხალილოვი.

არ ესწრებოდა: - ამირან გიორგაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, გიორგი შუკაკიძე, ლერი მუმლაძე, ქამილ ალიევი, ზურაბ ჭონიაშვილი, რაგიბ ასკეროვი, ზურაბ სხირტლაძე.

სხდომას ესწრებოდა: - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადელია.

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები: „მარნეული TV“-ს ტელევიზიის წარმომადგენლები.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1.მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2.მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

3.სოციალური საკითხები

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N45 დადგინილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგინილება N37. 20.11.2015 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს მუხლობრივად გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის პარამეტრები, როგორც შემოსულობების, ასევე ხარჯვით ნაწილში. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრება წარმოუდგინა ის შენიშვნები, რომლებიც გამოიკვეთა საკრებულოს ფრაქციებისა და კომისიების 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას, რომელიც იყო საკმაოდ წარმომადგენლობითი და მასში საკრებულოს წევრების გარდა მონაწილეობას იღებდა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა.ა.ი.პ.-ებისა და შ.პ.ს.-ების ხელმძღვანელები. აღინიშნა, რომ განხილვებზე გამოკვეთილი შენიშვნები, მ/წლის 25 ნოემბრამდე, გადაეგზავნება მარნეულის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს, რომლის შემდეგაც მოხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების გავლა მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დასამტკიცებლად, რაც საკრებულოს წევრების მიერ მიღებული იქნა ცნობად (შენიშვნები ოქმს თან ერთვის)

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ რაფიკ მუსაევმა საკრებულოს წევრებს გააცნო იმ მოქალაქეების განცხადებები, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა სახის დახმარებებს და ვერ ჯდება მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურისათვის დამტკიცებულ სოციალურ პროგრამაში და წარმოადგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის დასკვნები, რომლის მიხედვითაც მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეებს გაეწევათ სხვადასხვა დახმარებები **ერთჯერადი დახმარებისათვის** - ნურადინ ბაირამოვს -100 ლარი, ზაირა ბაირამოვას -100 ლარი, ნადირ გაჯიევის -100ლარი, მუზაფარ მამედოვს -100 ლარი, ეგანა აბდულაევის -100 ლარი, ყურბან დურსუნოვს -100 ლარი, ზოია მარგიანი-ჟორჟოლიანს -100 ლარი, აღმაზ გასანოვს -100 ლარი, მუხტარ ჯალილოვს - 100 ლარი, კიას ბაირამოვს -100 ლარი, ვაგიფ მუსტაფაევის -100 ლარი, ულდუზა ტანრივერდიევის -100 ლარი, სამირ ბედიევის -100 ლარი, მუხტარ მუსტაფაევის - 100 ლარი, გაზანფარ მიკაილოვს -100 ლარი, ნარიმან ტალიბოვს -100 ლარი, ვაგიფ ალიევის - 100 ლარი, ფახრად ბადალოვს 100 ლარი, ზულფუნაზ სადიკოვას -100 ლარი, მამედ დურახანოვს -100 ლარი. **მედიკამენტებისათვის** - გენადი პაქსაძის შვილს ლიზი პაქსაძეს -75 ლარი, ნიზამი აშიროვს - 400 ლარი, შახნარ მარდანოვას - 600 ლარი, ახმედხან იბრაგიმოვს - 265 ლარი, ახმედ საფაროვის შვილს აზერ საფაროვს - 145 ლარი, ტელმან მამედოვს - 300 ლარი. **მკურნალობისათვის** - ნიარ გოჯაევის მეუღლეს ელჩუ გოჯაევის-300 ლარი, საბიტ ჰასანოვის შვილიშვილს მაჰამედალი გასანოვს- 70 ლარი და მაჯიტ მასიმოვის მეუღლეს სევილ მასიმოვას- 235 ლარი. ასევე როგორც გამონაკლისი, ქ.მარნეულში 9 ძმის ქუჩა #1ბ-ში მცხოვრები ტელმან რუსტამოვისათვის თვალის ოპერაციის ღირებულებიდან 1500 ლარის, ხოლო სოფელ თაზაკენდში მცხოვრები ფარვინ ჰუსეინოვის მამას ორუჯ ჰუსეინოვისათვის

ოპერაციის (პაროქსიზმული ტაქიკარდიის კათეტერული აბლაცია) ღირებულებიდან 960 ლარის გადარიცხვა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად.

.საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის დასკვნები და განკარგულება N172. 20.11 .2015 წ)

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის მეთვრამეტე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი